


ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის სულიკო თებიძის
ერთწლიანი საქმიანობის ანგარიში




2021 წელი, ნოემბერი
www.batumicc.ge

შესავალი

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს წარმოადგენს კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო - მუნიციპალიტეტის საკრებულო.
- მუნიციპალიტეტის საკრებულო აირჩევა 4 წლის ვადით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ, პირდაპირი არჩევნებით, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებზე, 4 წლის ვადით, ამომრჩევლებმა აირჩიეს ბათუმის თვითმმართველი ორგანოს - საკრებულოს 25 წევრი, აქედან 10 წევრი - ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე, ხოლო 15 წევრი - პროპორციული წესით ბათუმის მთელ ტერიტორიაზე.
- 2017 წლის 20 ნოემბერს გაიმართა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის IV მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა. სხდომაზე ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ თავისი შემადგენლობიდან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით აირჩია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
- საკრებულოს საქმიანობა და უფლებამოსილება განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობა

- საკრებულოს თავმჯდომარე ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს:
- საკრებულოს სხდომების ორგანიზება, საკითხების განხილვა, გადაწყვეტილებების მიღება;
- საკრებულოს აპარატის ორგანიზაციული საქმიანობის ხელმძღვანელობა;
- საკრებულოს წარმომადგენლობითი ფუნქციების გახორციელება.



IV მოწვევის საკრებულოში ამჟამად ფუნქციონირებს 5 მუდმივმოქმედი კომისია და 3 ფრაქცია

კომისიები

- საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისია;
- ინფრასტრუქტურის განვითარების კომისია;
- ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა კომისია;
- განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია;
- იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია.

ფრაქციები


- „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;
- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;
- „ბათუმი“;

საანგარიშო პერიოდში IV მოწვევის საკრებულოში ჩატარდა:

➤ 11 სხდომა

➤ 22 ბიუროს სხდომა

- საკრებულოს სხდომებზე განხილულ იქნა სულ 122 საკითხი, მიღებულ იქნა 102 ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი (განკარგულება) და 20 ნორმატიული სამართლებრივ-ადმინისტრაციული აქტი (დადგენილება).



ბიუჯეტი - 2021

საქართველოს მთავრობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დასახული პრიორიტეტების, ასევე, ქალაქ ბათუმში არსებული სიტუაციის ანალიზის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტული მიმართულებები:

- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება;
- მუნიციპალური სერვისების განვითარება.



ბიუჯეტი - 2021

საანგარიშო წლის დასაწყისში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენდა 150 100,0 ათას ლარს, გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლები - 71,895.9 ათას ლარს. მათ შორის: ქონების გადასახადი - 29,000.0 ათასი ლარი, დამატებული ღირებულების გადასახადები - 42,895.9 ათასი ლარი.

ფინანსური დახმარების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 45 000.0 ათასი ლარით: მათ შორის: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები კაპიტალური ტრანსფერი - 45 000.0 ათასი ლარით;

პროგრამული კლასიფიკაციის შესაბამისად პრიორიტეტების მიხედვით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგნაირად: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება - 11,633.2 ათასი ლარი; სარეზერვო ფონდი - 1,250.0 ათასი ლარი; წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი - 100.0 ათასი ლარი; მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება - 68,879.2 ათასი ლარი; ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო

ინფრასტრუქტურის განვითარება - 19,642.1 ათასი ლარი; განათლება - 15,166.2 ათასი ლარი; კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი - 11,892.4 ათასი ლარი; ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 15,572.2 ათასი ლარი; ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება - 1,260.0 ათასი ლარი; მუნიციპალური სერვისების განვითარება - 6,054.7 ათასი ლარი.



ბიუჯეტი - 2021

ბათუმის 2021 წლის ბიუჯეტის თანხები ძირითადად მოხმარდა ქალაქისთვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული და ქალაქის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას, მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესებას, ქალაქის კეთილმოწყობას, გამწვანებას, მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარებას, საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობას, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერას, ბინათმშენებლობას და ავარული შენობების რეაბილიტაციას, ქალაქის დასუფთავებას, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარებას, ინკლუზიური განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობას, განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის ხელშეწყობასა და სპორტს, ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფას, ქალაქის ეკონომიკურ და ურბანული განვითარებას, მუნიციპალური სერვისების განვითარებას.



ათასანიშნავია, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პარამეტრებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გლობალური პანდემიით (COVID-19) გამოწვეულმა ეკონომიკური განვითარების ტენდენციებმა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა როგორც საგადასახადო და ასევე სხვა შემოსულობების ნაწილი.

საკრებულოს გადაწყვეტილებები

საანგარიშო პერიოდში ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ სხდომებზე 122 საკითხზე მიიღო გადაწყვეტილება, მათ შორის დაამტკიცა ცვლილებები 2021 წლის ბიუჯეტში.

ცვლილების შედეგად, 2021 წლის ბათუმის ბიუჯეტი
46 807 300 ლარით გაიზარდა და ჯამში
204 800 200 ლარი შეადგინა.


ბიუჯეტის კორექტირებისას მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული სოციალური პასუხისმგებლობა და ამავე დროს, კვლავ პრიორიტეტული დარჩა ინფრასტრუქტურის განვითარება.



www.batumicc.ge

კორექტირებული ბიუჯეტი

პროგრამულ ჭრილში ბიუჯეტი გაიზარდა შემდეგი მიმართულებებით:



- 39 ათას 500 ლარით გაიზარდა 18 წლამდე ასაკის ფენილკეტონურიით, ცელიაკიით, გალაქტოზემიითა და მუკოვისციდოზით დაავადებულ პირთა და 18 წლის ასაკის ზემოთ ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარების ოდენობა;
- 20 ათასი ლარი დაემატა მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფის პროგრამას;
- მოქალაქეთა მაღალი მომართვიანობის საფუძველზე, 211 ათას 900 ლარით გაიზარდა ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის პროგრამის ბიუჯეტი. პროგრამაში დამატებით 200 ბენეფიციარი ჩაერთვება;
- 164 ათას 500 ლარით გაიზარდა აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამის ბიუჯეტი. დაემატა 20 გაკვეთილი და 10 ბენეფიციარი;
- 70 ათასი ლარი დაემატა ღვიძლის ტრანსპლანტაციისა და ძვლის ტვინის გადანერგვის საჭიროების მქონე პირთა დახმარების პროგრამის ბიუჯეტს;
- 162 ათას 700 ლარით გაიზარდა მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარება.



სოციალური უზრუნველყოფა

- ჯავახიშვილის #82-ში მდებარე სოციალური სახლების მშენებლობის დაფინანსებას 1 მილიონი ლარი დაემატა;
- ურეხის ხანდაზმულთა ღამის თავშესაფრის რეკონსტრუქცია-ადაპტაციისთვის 250 ათასი ლარი გამოიყო;
- ე.წ. შანხაის დასახლებაში სოციალური სახლის მშენებლობისთვის 250 ათასი ლარი გამოიყო;
- 254 ათასი ლარით გაიზარდა მუნიციპალური სასადილოების დაფინანსება. დაემატება 1480 ბენეფიციარი.



- ბათუმში 3 ახალი საბავშვო ბაღი აშენდება, რისთვისაც 1 მილიონ 500 ათასი ლარი გამოიყო;
- სრულდება კიდევ ერთი ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა;
- მუნიციპალურ საბავშვო ბაღებში, ენერგოეფექტურობის სტანდარტის დანერგვასთან დაკავშირებით 450 ათასი ლარი გამოიყო;
- 735 ათასი ლარი დაიხარჯება მოსწავლეთა ახალგაზრდობის სასახლის რეაბილიტაციისთვის, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონეა;
- კულტურული ძეგლის რეაბილიტაცია განხორციელდება 26 მაისის ქ. #19-ში, რისთვისაც 184 ათასი ლარი გამოიყო;
- დამატებით, კიდევ ერთი კულტურული ძეგლი რეაბილიტირდება აბაშიძის ქ. #6-ში;
- საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერის ფარგლებში, ფესტივალების დაფინანსება 55 ათასი ლარით გაიზარდა;
- კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერისთვის დამატებით 50 ათასი ლარი გამოიყო;



განათლება-კულტურა

- ფესტივალს „ბათუმი ღია ცის ქვეშ“ 250 ათასი ლარი დაემატა.
- მასობრივი სპორტის განვითარება და სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია:
- 500 ათასი ლარით გაიზარდა სპორტული მოედნების მშენებლობის დაფინანსება. ჯამში, წელს, 26 სპორტული მოედანი რეაბილიტირდება;
- 950 ათასი ლარით გაიზარდა სპორტული ტრენაჟორების შეძენა-განახლების ღონისძიებები. სპორტული ინვენტარი 45 მისამართზე განთავსდება;
- სხვადასხვა სპორტული ღონისძიებებისა და ფესტივალების განხორციელებისთვის დაფინანსება გაიზარდა 73 ათას 300 ლარით;
- მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტის ფარგლებში გამარჯვებული პროექტების დაფინანსება გაიზარდა ქართული ჭიდაობისა და კალათბურთის მოედნების მშენებლობისათვის.



რეკრეაციული სივრცეების მოწყობა

- 1 მილიონი 630 ათასი ლარი დაიხარჯება 7 ახალი სკვერის მშენებლობისთვის;
- ამჟამად 12 ახალი სკვერის მშენებლობა-რეაბილიტაცია მიმდინარეობს;
- გონიოს სანაპირო ზოლსა და სხვადასხვა სარეაქრეაციო სივრცეებში სპეციალური ინვენტარის განსათავსებლად 1 მილიონ 400 ათასი ლარი დაიხარჯება;
- წელს ბათუმში ერთი მილიონი ყვავილისა და 300-მდე ხე-მცენარის დარგვა მიმდინარეობს. 200 ათასი ლარით იზრდება დაფინანსება და დამატებით 670 ხე-მცენარე იქნება შესყიდული.



ინფრასტრუქტურის განვითარება

- 4 მილიონი ლარი გამოიყო წყალარინების სისტემის რეაბილიტაციისთვის, რომელიც სამრეწველო ადმინისტრაციულ ერთეულში (ოცნების ქალაქში) განხორციელდება;
- 1 მილიონ 500 ათასზე მეტი ლარით გაიზარდა დაფინანსება სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოებისთვის, რომელიც მოიცავს ფერდსამაგრი კედლების, გზისა და სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაციას.
- სამუშაოები დამატებით 40-ზე მეტ მისამართზე განხორციელდება;
- ბეტონის საფარის მოწყობის დაფინანსება იზრდება 1 მილიონ ლარამდე, რომელიც 38 მისამართის რეაბილიტაციას მოხმარდება;
- სანიაღვრე სისტემების კაპიტალური რეაბილიტაციისთვის 939 ათასი ლარი გამოიყო;
- სანიაღვრე სისტემის მასშტაბური ღონისძიებები გატარდება თამარ მეფის გამზირის #47-ში, რისთვისაც 150 ათასი ლარი დაიხარჯება;
- სანიაღვრე სასტემები მოეწყობა გოგოლიშვილის ქუჩაზე, რისთვისაც 200 ათასი ლარი გამოიყო;
- ბაქრადის ქუჩაზე დამცავი კედლის მოწყობის ბიუჯეტი 850 ათას 941 ლარს შეადგენს.



ინფრასტრუქტურის განვითარება

- საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის დაფინანსება გაიზარდა 9 მილიონ 150 ათასი ლარით და შეადგენს 43 მილიონ ლარზე მეტს: სულაბერიძის ქუჩის მონაკვეთის, ბაგრატიონის ქუჩიდან პუშკინის ქუჩამდე მიმართულებით, II ეტაპის (გიორგი სააკაძის ქუჩიდან გიორგი ბრწყინვალეს ქუჩამდე) კეთილმოწყობის სამუშაოები 3 მილიონ 733 ათას 390 ლარით იზრდება;
- 950 ათასი ლარი გამოიყო აღმაშენებლის ქუჩაზე უსაფრთხოების კუნძულის მოსაწყობად და კობალაძის ქუჩის რეაბილიტაციისთვის;
- ლორთქიფანიძის ქუჩის კეთილმოწყობისათვის 800 ათასი ლარი გამოიყო;
- მ. ვარშანიძის ქუჩის მონაკვეთის (სულაბერიძიდან შავშეთის ქუჩამდე) რეაბილიტაციისთვის 1 მილიონამდე ლარი გამოიყო;
- აფსაროსის III შესახვევის გაგრძელების რეაბილიტაციისთვის 200 ათასი ლარი გამოიყო;
- ანდრია პირველწოდებულის II შესახვევის გაგრძელების კეთილმოწყობისთვის 400 ათასი ლარი დაიხარჯება;
- ჩაქვის ქუჩის კეთილმოწყობა 237 ათას 888 ლარს შეადგენს;
- ფრიდონ ხალვაშის IV ჩიხის კეთილმოწყობისათვის 126 ათას 800 ლარი გამოიყო;
- ასფალტირებული ქუჩების ორმული შეკეთების დაფინანსება გაიზარდა 500 ათასი ლარით;



ინფრასტრუქტურის განვითარება

- არასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოებისთვის 159 ათას 200 ლარი გამოიყო;
- გარეგანათების ქსელის განვითარების დაფინანსება 2 მილიონ 120 ათასი ლარით გაიზარდა;
- თამარის დასახლებაში სანაპიროს გასწვრივ დეკორატიული განათების რეაბილიტაციისთვის 550 ათასი ლარი გამოიყო;
- ევროპის მოედანზე მედეას ძეგლის რეაბილიტაციისთვის 592 ათას 333 ლარი გამოიყო;
- კომუნალური ინფრასტრუქტურის თანადაფინანსებისათვის 3 მილიონ 901 ათასი ლარი გამოიყო:
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგოების მხარდაჭერის პროგრამის დაფინანსება 7 მილიონამდე ლარით გაიზარდა.
- განხორციელდება:
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული ფასადების რეაბილიტაცია;
- მრავალბინიან სახლებში არსებული ამორტიზებული ლიფტების ახლით ჩანაცვლება;
- ეზოების რეაბილიტაცია;
- ატრაქციონების რეაბილიტაცია და სხვა მნიშვნელოვანი პროექტები.



საკრებულომ დაამტკიცა:

- საანგარიშო პერიოდში საკრებულომ დაამტკიცა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების ახალი წესი. ახალი დადგენილებით აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრის მიზნით თითოეული ან რამდენიმე ან/და ყველა საზოგადოებრივი სივრცისთვის დაამტკიცოს გარე ვაჭრობის ადგილების გეგმა, რომლის მიხედვით გათვალისწინებული უნდა იყოს ქალაქის განვითარების ინტერესები, მოსახლეობის სიმჭიდროვე, სატრანსპორტო ნაკადი, საზოგადოებრივი სივრცეების გამტარუნარიანობა, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება, საგზაო მოძრაობის წესები, ეკოლოგიური მდგომარეობა, საზოგადოების სხვა ინტერესები. გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრა შეიძლება მოხდეს არა უმეტეს ორი წლის ვადით ან სეზონურად, მათ შორის, კვირის კონკრეტული დღეებისათვის. თუ გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრა ხდება სეზონურად, გარე ვაჭრობის ადგილის განსაზღვრასთან ერთად სავალდებულოა განისაზღვროს ვადა, რომლითაც ადგილი განსაზღვრულია გარე ვაჭრობის ადგილად. დადგენილება 2021 წლის 01 მაისიდან ამოქმედდება.



საკრებულომ დაამტკიცა:

- საკრებულომ დაამტკიცა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობისათვის არქიტექტურული პროექტისა და სანებართვო დოკუმენტაციის ან მისი ნაწილის ელექტრონული ფორმით წარდგენისა და აღნიშნულთან დაკავშირებული ელექტრონული საქმისწარმოების წესი. აღნიშნული დოკუმენტბრუნვის სისტემა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესს.



საკრებულომ დაამტკიცა:

- საკრებულომ ცვლილება შეიტანა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში II კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულების დადგენის შესახებ” საკრებულოს 2020 წლის 25 თებერვლის N12 დადგენილებაში, რომლის მიხედვითაც დადგინდა მეორე კლასის ის ფუნქციური ობიექტები, რომლებზეც შესაძლებელია დადგინდეს შეტყობინების აღების წესი და დაინტერესებულ პირს არ მოეთხოვოს მშენებლობის ნებართვის აღება.



საკრებულომ დაამტკიცა:

- საკრებულოს ცვლილება შეიტანა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) მგზავრთა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას სამგზავრო ტარიფების, ფასდაკლების სისტემის და მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ საკრებულოს დადგენილებაში. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე შემუშავებული იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სოციალური უზრუნველყოფის“ პროგრამით განსაზღვრული ქვეპროგრამა - „მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება“, რომლის მიხედვით მუნიციპალურ ტრანსპორტზე მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით უფასო ტარიფით ისარგებლებს დადგენილების პროექტით განსაზღვრული ყველა ბენეფიციარი (სულ 31771 პირი), კერძოდ: ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარები, ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები, 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციარები, შშმ პირები, შშმ სტატუსის ბავშვები, მოსწავლეები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლები და სკოლების მანდატურები (რომელთა შრომის ანაზღაურება (სარგო) არ აღემატება 625 ლარს თვეში), სტუდენტები, იძულებით გადაადგილებული პირები, ასაკით პენსიონერები, საბავშვო ბაღების და ბიბლიოთეკების თანამშრომლები, პროფესიული კოლეჯი "Black sea" თანამშრომლები (რომელთა ხელფასი არ აღემატება 625 ლარს), მარტოხელა მშობლები, ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლთა რეგიონული ცენტრის ბენეფიციარები.



საკრებულომ დაამტკიცა:

საკრებულომ ცვლილება შეიტანა „მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ბათუმის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის №გ-15.15203582 განკარგულებაში. აღნიშნული ცვლილების მიზანს წარმოადგენდა მრავალშვილიანი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. კერძოდ, თუ აქამდე მოქმედი განკარგულებით, საცხოვრებელი ბინები გადაეცემოდათ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ (რეგისტრირებულ) ოჯახებს და იმ ოჯახებს, რომელთა ოჯახის უფროსი წევრებიდან (დედა ან/და მამა) ერთ-ერთი რეგისტრირებული იყო ქ. ბათუმში და რომლებსაც ჰყავდათ 7 (შვიდი) და მეტი შვილი, ახალი ცვლილების შედეგად საცხოვრებელი ბინები გადაეცემათ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ (რეგისტრირებულ) ოჯახებს და იმ ოჯახებს, რომელთა ოჯახის უფროსი წევრებიდან (დედა ან/და მამა) ერთ-ერთი რეგისტრირებულია ქ. ბათუმში და რომლებსაც ჰყავთ 6 (ექვსი) და მეტი შვილი. პროგრამის ბენეფიციარი ოჯახი უზრუნველყოფილი იქნება 1 (ერთი) ან 2 (ორი) საცხოვრებელი ბინით საერთო ფართობით 100 კვმ-დან 130 კვ.მ-მდე. პროგრამით სარგებლობა შეეძლებათ იმ მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთა უფროსი შვილის წლოვანება არ აღემატება 24 წელს. ოჯახს ბინა/ბინები გადაეცემა ოჯახის თითოეული წევრის თანასაკუთრებაში (მშობლები და შვილები), ბინის/ბინების გადაცემა შესაძლებელია განხორციელდეს გარემონტებულ მდგომარეობაში ან გარემონტების მიზნით ბინის სარემონტო სამუშაოებისათვის მერიის მიერ ერთჯერადად შესაძლებელია გამოიყოს თანხა - 1 კვ. მ -ზე 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით; პროგრამით ისარგებლებენ ის მრავალშვილიან ოჯახები, რომლებიც 2018 წლის 1 იანვრამდე დარეგისტრირდნენ მერიის შესაბამისი სამსახურის მონაცემთა ბაზაში.



საკრებულომ დაამტკიცა:

- მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის მუნიციპალურ პროგრამაში ცვლილების შეტანით შესაძლებელი გახდა 6 - შვილიან ოჯახებზე საცხოვრებელი ბინების განაწილება დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად.
- ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტი სისრულეში მოიყვანა და საანგარიშო პერიოდში 15 მრავალშვილიან ოჯახს ბინები საკუთრებაში გადასცა.
- მრავალშვილიან ოჯახებს, რომლებმაც პროგრამის კრიტერიუმები დაკმაყოფილეს, საჩუქრად 100-დან 130 კვმ-მდე გარემონტებული საცხოვრებელი ფართი გადაეცათ.



საკრებულომ დაამტკიცა:

- საკრებულომ ცვლილება შეიტანა მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების პირობების შესახებ არსებულ დებულებაში, რომლის მიხედვითაც ქვეპროგრამის ასიგნებათა ჯამური მოცულობა განისაზღვრა 210000 ლარით, ხოლო თითოეულ ღონისძიების განხორციელებისათვის მუნიციპალიტეტის მერიიდან მოთხოვნილი თანხა - არა უმეტეს 35 000 ლარით.



საკრებულომ დაამტკიცა:

- საკრებულომ მხარი დაუჭირა ე.წ. „შანხაის დასახლებაში“ ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმის დამტკიცებისთვის საჭირო გასატარებელ ღონისძიებებს. როგორც ცნობილია, ბათუმის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემურ საკითხს წარმოადგენს ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების არსებობა, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. ერთ-ერთ ასეთ დასახლებას წარმოადგენს ე.წ. „შანხაის დასახლება“. საკრებულოს გადაწყვეტილებით, აღნიშნულ დასახლებაში დაგეგმილია სოციალური სახლების მშენებლობა, რომლითაც საბოლოოდ გადაწყდება აღნიშნული პრობლემა. პროექტის განხორციელებისთვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში თანხა უკვე გათვალისწინებულია.



საკრებულომ დაამტკიცა:

საკრებულოს გადაწყვეტილებით, შპს „მზიური რეზორტს“ მიეცა თანხმობა ქ. ბათუმში, დაბა მახინჯაურში, ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელი ხიდის მოსაწყობად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ, ქ. ბათუმში, დაბა მახინჯაურში მდებარე 50,0 კვ.მ (ს.კ. 05.34.30.006) და 48,0 კვ.მ (ს.კ. 05.34.30.008) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ხიდის საყრდენების განთავსებაზე, შემდეგი პირობებით: გადასასვლელი ხიდი იქნება სრულიად ადაპტირებული შშმ პირთათვის; ხიდით შეუფერხებლად სარგებლობა შეეძლება ნებისმიერ პირს; შპს „მზიური რეზორტი“ №05.34.30.008 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მოაწყობს თანამედროვე დიზაინის მგზავრთა მოსაცდელს; №05.34.22.328 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 2316,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებული პროექტით მოაწყობს საერთო სარგებლობის სკვერს. გადასასვლელი ხიდის და სკვერის მოწყობის სამუშაოებს გაახორციელებს მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების დაცვით და დაასრულებს არა უგვიანეს 2023 წლის 31 დეკემბრისა.



საკრებულომ დაამტკიცა:

- საანგარიშო პერიოდში საკრებულომ ცვლილებები შიტანა ბათუმის მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტში. კერძოდ, ცვლილების თანახმად, ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის ნაწილი მოხმარდება 8 ოქტომბერს 26 მაისის ქუჩაზე მდებარე ჩამონგრეული სახლის დემონტაჟს, ნაწილი კი მიმართული იქნება სტიქიის (უხვი ნალექის) შედეგად მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად.
- ცვლილებების შესაბამისად, 350 ათასი ლარი გამოიყო, 26 მაისის ქ. #13-ში ავარიული სახლის სადემონტაჟო სამუშაოებისთვის, ხოლო 125 ათასი ლარი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისთვის, ასევე, სარეზერვო ფონდი გაიზარდა 800 ათასი ლარით, რომელიც მოხმარდება ბათუმში სტიქიის შედეგად საცხოვრებელ სახლებზე, შენობებზე, მიმდებარე ტერიტორიებსა და ინფრასტრუქტურაზე მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოების განხორციელებასა და 26 მაისის ქ. #13-ში დაზარალებული ოჯახების მხარდაჭერას.
- აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება მუნიციპალიტეტისათვის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა.



საკრებულომ დაამტკიცა:

- საკრებულოს გადაწყვეტილებით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონება (ბინები), შემდგომში მათი პირდაპირი განკარგვის წესით, 8 ოქტომბერს 26 მაისის ქუჩაზე მდებარე სახლის ნგრევის შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური მიზნების განსახორციელებლად.




საკრებულოს აპარატის ორგანიზაციული საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობა

- საკრებულოს მუნიციპალიტეტის საქმიანობას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი. საკრებულოს აპარატის ამოცანებია: საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების, საკრებულოს წევრების, კომისიების, ფრაქციების საქმიანობის ორგანიზაციული, იურიდიული, დოკუმენტური, საინფორმაციო, საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.
- აპარატის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს საკრებულოს თავმჯდომარე. აპარატს ხელმძღვანელობს აპარატის უფროსი. აპარატის ორგანიზაციული სტრუქტურა განისაზღვრება აპარატის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საკრებულო.
- საკრებულოს აპარატში გახორციელებული რეორგანიზაციისა და დებულებაში შეტანილი ცვლილების შედეგად საკრებულოს აპარატში ფუნქციონირებს სამი განყოფილება:



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სტრუქტურა



საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციაში

საკრებულოს ფრაქცია - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“
შემადგენლობაში საქმიანობას ახორციელებს საკრებულოს 15 წევრი.

ფრაქციის საქმიანობას საფუძვლად უდევს შემდეგი პრინციპები:

- ფრაქციის საქმიანობის საჯაროობა
- დამოუკიდებლობა და თვითმმართველობა
- ფრაქციაში გაწევრიანებისა და ფრაქციიდან გასვლის ნებაყოფლობითობა
- თანასწორობა კანონის წინაშე

ფრაქცია შექმნილია საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა მიერ უფლებამოსილების ეფექტურად გახორციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით.

ფრაქციაზე განხილული საკითხები:

საანგარიშო პერიოდში ფრაქციის სხდომაზე განხილულ იქნა სხვადასხვა საკითხები, მათ შორის:

- საკრებულოს წევრების 2021 წლის აქტივობების ძირითადი მიმართულებების შესახებ;
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისა და კომისიების 2021 წლის სამუშაო გეგმის შესახებ საკრებულოს ფრაქციასა და ბათუმის მერიას შორის კოორდინაციის გეგმის შემუშავების შესახებ;
- სამომავლოდ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;
- საკრებულოს სხდომაზე განსახილველი სხვადასხვა მიმდინარე საკითხის განხილვის შესახებ;
- ქალაქში დაგეგმილ და მიმდინარე პროექტებზე ინფორმაციების მოსმენა.
ფრაქციის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 16 სხდომა.
ფრაქციის სხდომაზე განხილულ იქნა 33 საკითხი.

საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიაში

კომისიის მიზანი:

საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხების წინასწარი მომზადება, საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობა, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიისა და მისი სტრუქტურული ერთეულების სამართლებრივი კონტროლის გახორციელება.

კომისიის საქმიანობა:

- ა) შეიმუშავებს და საკრებულოს სხდომისათვის ამზადებს საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტებს;
- ბ) განიხილავს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტებს და ღებულობს დასკვნებს მათი უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის თაობაზე;
- გ) სამოქმედო სფეროში განიხილავს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის პროექტს, ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი პროგრამების პროექტებს და ღებულობს შესაბამის დასკვნებს მათ შესახებ;
- ვ) სამოქმედო სფეროში კონტროლს უწევს მერიისა და მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას, საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დასკვნას წარუდგენს საკრებულოს;

კომისიის შემადგენლობაშია საკრებულოს 9 წევრი.

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ გამართა 14 სხდომა. კომისიამ სხდომებზე განიხილა 122 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს თავმჯდომარე იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის ერთ სხდომაზე ასრულებდა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას. კომისიამ დასკვნის სახით 11 რეკომენდაცია შეიმუშავა.

მოქალაქეებთან შეხვედრები

მსოფლიო პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების ფონზე, საკრებულოს თავმჯდომარე სხვადასხვა საკითხზე ადგილზე შეხვდა და კონსულტაცია გაუწია **148** მოქალაქეს.

ამავე პერიოდში საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე საკრებულოს აპარატში რეგისტრირებულია **162** განცხადება, რომლებზეც გაცემულია პასუხი, ნაწილი კი შემდგომი რეაგირებისათვის გადაგზავნილია შესაბამის სამსახურებში განსახილველად.

უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წელი სრულიად განსხვავებული იყო მსოფლიო პანდემიით გამოწვეული ვითარებიდან გამომდინარე. საკრებულოს თავმჯდომარე კოვიდ-პანდემიით შექმნილი ეპიდსიტუაციის პირობებში ბათუმის ადმინისტრაციულ ერთეულებში საკრებულოს წევრებთან ერთად ჩართული იყო მოსახლეობისთვის დახმარების გაწევის ორგანიზებაში, ასევე, საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა სხვადასხვა ადგილობრივ ღონისძიებებში.

